



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№865

2016 წლის 12 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

გამგებლის პირველი მოადგილესა და მოადგილეებს შორის ფუნქციათა განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54 -ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის 57-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. განაწილდეს ფუნქციები, გამგებლის პირველი მოადგილესა და მოადგილეებს შორის გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისათვის მიკუთვნებული დარგების შესაბამისად, დანართის მიხედვით.

2. დაევალოთ გამგებლის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ფუნქციათა განაწილების შესაბამისად, მიკუთვნებული დარგების ხელმძღვანელობა, საკითხის განხილვის უფლებამოსილება და კონტროლი მის დროულ შესრულებაზე, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და გამგებლის სხვა დავალებების შესრულება.

3. დაევალოთ გამგებლის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული ყოველკარტალური მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოხსენება გამგებლისათვის.

4. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 ივლისის N2/853 ბრძანება.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

6. ბრძანება ძალაში შედის ხელოვნურისთანავე.

გამგებელი:

კარლო ჯამბურია